



# ჭირი ჭირსა

ნათქვამია: „თავთ არ იყო ძმარი და შიგ გაურიეს წყალი“.


ასე მოუვიდა ტაშისკარის შარაგზას, რომელიც მას ქვიშხეთთან აერთებს.

შარაგზას ისედაც ბლომ-ბლომად გააჩნია ორმოები და ტალახი და ამას ისიც დაერთო, რომ ზოგიერთმა მცხოვრებმა ონკანიდან გამოდინარე წყალი პირდაპირ გზაზე მიუშვა...

ამ გარემოებას რატომღაც არც სოფსაბჭოს მესვეურები აქცევენ ყურადღებას და არც კოლმეურნობის ხელმძღვანელობა.

ამიტომაც შეუძლია ტაშისკარის შარაგზას თამამად გაიმეოროს ბრძენის ნათქვამი „ჭირი ჭირსა მომესართაო“.

ტაშისკარელი



ნახ. გ. ფირცხალავაძე

მოზარაკეთა „ხუმრობა“  
არქიტექტორთა ხუმრობაზე

ნ. გაფრინდაუვილი ბ. გურგენიძეს: — ძლივს არ აგვიშენეს საჭადრაკო კლუბი!

# ასეთი იყო ანა იუვენ?

...რომ ქ. ცხაკაიაში არსებობს აბანო № 1, რომელსაც ხელმწიფო სახსრების დაზოგვის საკითხში ჯერჯერობით მეტოქე არა ყავს. აბანოს ლოზუნგია: „მივაწოდოთ მობანავეებს წყალი ბუნებრივი სახით“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბუნება, მცირე გამონაკლისის გარდა, ცივ წყალს გვთავაზობს, მაშინ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მობანავეს ზემოხსენებულ აბანოში შესვლა. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, აბანოს დირექტორს კ. ხარბედიას არც ცივა და არც ცხელა, მაგრამ ცივა ზოგიერთ მობანავეს, თუმცა, ვისი რა ბრალია რომ მან თავის დროზე არ გაიკაუა ორგანიზმი. ქალაქის ეკონომიის გამო, აბანოს საჩივრის წიგნი საიმედოდ არის გადახაზული.

...რომ წყალტუბო-მოსკოვის მატარებლით მგზავრობისას, სადგურ განთიადში დილის ხუთ საათზე იქნებით, ხოლო სადგურის მოსაცდელი დარბაზის კარი დილის ექვს საათზე გაიღება. თქვენ სულ რაღაც ერთი საათი მოგიხდებათ ბაქანზე მოცდა, სამაგიეროდ, ქურდებს ყოველგვარი საშუალება ესპობათ, მოიპარონ რაიმე ნივთი სადგურ განთიადის მოსაცდელი დარბაზიდან. სამწუხაროდ ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ ვის ეკუთვნის ქურდობასთან ბრძოლის ეს მეტად ჰუმანური და ორიგინალური მეთოდი.

...რომ ზემოხსენებულ სადგურ განთიადიდან სულ რაღაც ხუთი კილომეტრის დაშორებით არსებობს სოფელი, რომელსაც წალკოტი ქვია. აქ სამასი კომლი ცხოვრობს, მაგრამ ავტობუსი არ დადის, ბავშვები ხუთი კილომეტრის მანძილზე ფეხით დადიან სკოლაში, ფოსტა აგვიანებს და კინოსურათებსაც იშვიათად აჩვენებენ. არც საექიმო პუნქტია მაინცდამაინც კეთილმოწყობილი. სოფლის მოსახლეობა, ყველა ამ გარემოებების გამო, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს და ერთადერთი მათი სურვილია, რაიმე შესაფერი სახელი ეწოდოს მათ სოფელს.

...რომ ქალაქ ქუთაისში ყოველდღიურად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მიმდინარეობს შეჯიბრი 100 მეტრზე რბენაში. შეჯიბრი ტარდება ქუჩებში და მასში ჩაბმულია მოსახლეობის ფართო მასები. შეჯიბრის ინიციატივა ეკუთვნის საქალაქო ტრანსპორტის ხელმძღვანელობას, რომელმაც ავტობუსების გაჩერება ტროლეიბუსების გაჩერებიდან ასი მეტრით დააშორა და ამ მეტად მარტივი ღონისძიებით მოსახლეობაში უდიდესი სპორტული აღმავლობა გამოიწვია.

...რომ სართიჭალის ახალ დასახლებაში, სადაც სამოცი კომლი ცხოვრობს, მოსახლეობას იმდენად უყვარს წყალი, რომ, როდესაც ონკანები გამშრალია მეზობელ სოფლებში დადიან წყლის საძებნელად. ასეთივე ფანატიკური სიყვარულით, მხოლოდ რადიოს მიმართ, გამოირჩევიან ხულოს რაიონის რიყეთის სასოფლო საბჭოს სოფელ დანისპარაულის მცხოვრებლები. მათი რადიოები მხოლოდ ათი თვეა რაც არ ლაპარაკობენ, მაგრამ მათ უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნიან და საყვედურებით ავსებენ კავშირგაბმულობის რაიკანტორის მუშაკებს. იგივე შეიძლება ითქვას დაბა ქარელის მცხოვრებლებზე, რომლებიც გადამეტებულ სიყვარულს ამყდებენ ელექტროგანათების მიმართ. მათ არ სურთ, ყოველ საღამოს სიბნელეში ყოფნა და დაყინებით მოითხოვენ გორის სოფენერგოდან გათიშვას და დაბა აგარაში ახლად აშენებულ ქვესადგურში ჩართვას.

...მაგრამ ყოველგვარ საზღვრებს ამეტებს სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბნის მოსახლეობა, რომლებმაც ერთად მოინდომეს რადიოგაყვანილობა, ელექტროდენი და, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა მდინარე ხევისწყალის კალაპოტში ჩაყენება და ალაგმვა. ისინი ამტკიცებენ, თითქოს და რაიონის ხელმძღვანელობა მოისუსტებდეს ამ საკითხების მოგვარების საქმეში.

...რომ ქ. თბილისის წითელბარტიზანების ქუჩა № 42 ეზოში მცხოვრებმა დიმიტრი ლაფარაშვილმა თავისებური რეკორდი დაამყარა სიჯიუტეში მეზობლებისა და ზოგიერთი ხელმწიფო ორგანოს მიმართ. აღსანიშნავია, რომ იგი ახლაც მუშაობს რეკორდის გასაუმჯობესებლად, რაც ამჟამად იმაში გამოიხატება, რომ მან მეზობლის მოქ. წიფურისას სამზარეულოს თვითნებურად მიაშენა საკუჭნაო, რომლის ფართობი შემდგომში სამჯერ გაადიდა. მიუხედავად სათანადო ორგანოების დადგენილებისა, იგი კვლავ განაგრძობს ჯიუტობას და არ სურს საკუჭნაოს დანგრევა. დიმიტრი ლაფარაშვილის ჯიუტობა სათანადო „ჩილდოს“ ღირსია.

იცნობთ თუ არა კეხიჯვარულ ექიმს ილია ნიკოლოზის ძე ფარქაშვილს?

ფარქაშვილი მოვლენაა, შეუდარებელი, სწორუპოვარი, უპრეცედენტო და განუმეორებელი.

ფარქაშვილი გადატრიალებაა მედიცინაში.

ფარქაშვილმა თავის მეში გააერთიანა ყველა საექიმო სპეციალობა და იქცა უნივერსალ ექიმად.

და განა მართო ექიმად — ფარმაცევტადაც.

ფარქაშვილს ფული უნდოდა, ამიტომ თქვა: ექიმიცა ვარ და ფარმაცევტიცაო.

ექიმს რეცეპტის გამოწერა უნდა შეეძლოს? — შეიძინა ფარქაშვილმა კლინიკური რეცეპტურის ცნობარი.

ბეჭედი უნდა ჰქონდეს? — „გახერხა“ სახლმმართველობის მრგვალი ბეჭედი.

დიანოზის დასმა უნდა ეხერხებოდეს? — გააერთიანა ყველა დიანოზი: ავადმყოფს, ცხვირი ტკივა თუ ტვინი, ავადმყოფი, მოკლედ მოჭრა.

ავადმყოფი უნდა გასინჯოს? — ფარქაშვილმა ზედმეტად ჩათვალა გასინჯვა, მოცლილი ხომ არ ვართ ჩვენ, ექიმებიო.

ფარმაცევტს წამალი სჭირდება? — მერე რა, წამალი ბალახბუღანშია, ხოლო ბალახბუღანს ყელამდეა კეხიჯვარში.

წამალს მოდუღება და განსაჯება უნდა? — აჰა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, სპილენძის ქვაბები, სპილენძისავე ჩამჩა, ნაირნაირი შუშები, ბოთლები, მომინანქრებული ვედროები, მინისა თუ თიხის ქილები საცხისათვის.

ვთქვათ რომელიმე დედაბერს აცხინკვა და აცხინკვა ბორჯომში... მისი შვილი თუ შვილიშვილი ციმციმ მიაღებდა ილია ფარქაშვილს კეხიჯვარში, უამბობს, როგორ აცხინკვებს და რა დროს აცხინკვებს...

— ეგ რა არის, ისეთები მომირჩენია? — ამშვიდებს ილია, — წადი, სამი ბოთლი მომიტანე...

ბოთლებიც იქვე იყიდება, შორიასლოს, ფარქაშვილის „ფილიალში“...

ფარქაშვილი მაგიური „წამლით“ ავებს სამივე ბოთლს, ღებულობს სამივე ბოთლის



საფასურს, სამივე ბოთლზე აწერს: „სამჯერ დღეში სუფრის კოვზით“, ქათქათა ქალღმერთს ახვევს ბოთლებს და ჰაიდა...

მიდის შინოფრენით ავადმყოფის პატრონი.

— ეგ რა არის, ასეთები მომირჩენია? ისევე სამი ბოთლი, ისევე იგივე „წამალი“, ისევე იგივე „სამჯერ დღეში სუფრის კოვზით“...

ფარქაშვილი „არჩენს“ ვრიპსა და სურდოს, ყივანახველასა და ჩუტყვავილას, გულსა და ღვიძლს, მენინგიტსა და კუჭის წყლულს, წელკავსა და ნიკრისის ქარებს... ტლექსა და... კიბოსაც...

არჩენს ისე, რომ ავადმყოფი თვალთაც არ უნახავს, არჩენს უყოყმანოდ და ულაპარაკოდ, არჩენს ერთი და იგივე „წამლის“ ერთი და იგივე დოზით, ცხრაშთასიქითელს და ცხრაშთასაქითელს, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას. ფარქაშვილი სასწაულია: შრომადღებებიც უწერია დროდადრო, თღონდ მის მაგივრად კოლმეურნეობაში დაქირავებული მუშები მუშაობენ.

ფარქაშვილს ორი სახლი აქვს, სოფ. კრობანში და თბილისში, ხალიჩებით მოფენილი და ავეჯეულობით გაწყობილი.

ფარქაშვილი 1961 წელსაც გაასამართლეს თაღლითობისათვის: სამი წლის პირობითი სასჯელით გამოვიდა მშრალზე.

თაღლითები ჩუმჩუმად თაღლითობენ, ფარქაშვილი — აშკარად.

მოელს საქართველოს ხანძარივით მოედო ფარქაშვილის დიდება და მიადწია მან რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს ყურამდეც.

სამმართველომ სასწრაფოდ აფრინა თავისი მუშაკი ონისიმე ბუშკოვი ფარქაშვილთან: უნივერსალური და უნიკალური მკურნალისა და უებარი წამლის შემოქმედის ამბავი შენი თვალთ იხილე და გვამცნეო.

ამხანაგი ბუშკოვი საპატიო ამალით, რაიმილიციის თანამშრომლებთან ერთად, ეწვია ფარქაშვილს.

— ჩემს ბიცოლას წელი აქვს გაკაგებული და მიშველეო, — მიმართა ერთ-ერთმა.

— მომიტანე სამი ბოთლი, — იყო ისტობარგაუტყუელის პასუხი.

მოუტანეს სამი ბოთლი, გადაუხადეს თორმეტი მანეთი; წაუწერა ილიამ „სამჯერ დღეში სუფრის კოვზით“, გაუხვია კომწიად... და თხოვეს ფარქაშვილს ჩვენ ესა და ეს ხალხი ვართ და გვინდა თქვენი „აფთიაქის“ საწყობს გავეცნოთო. გაეცნენ და აი რა ნახეს: „წამლით“ გაკაგებული ნახევარლიტრიანები და ლიტრიანები, საცხიანი ქილები, სუფთა რეცეპტის ბლანკები, სახლმმართველობის მრგვალი ბეჭედი, ჰილა შაბით, ყუთი დუსტისებური ფხვნილით, 60 კგ ბალახბუღანის... და მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი.. შეადგინეს საქმე და მიაბრძანეს სადაც ჯერ არს.

და სათანადო ორგანოები მიანიც რატომდაც არ ჩქარობენ ფარქაშვილისათვის საზღაურის მიზღვას.

ხომ მოგახსენეთ, სასწაულმოქმედიამეთქი ფარქაშვილი.

მორევში კი გადაადგო მილიციის სამმართველომ, მაგრამ, ვინ იცის, იქნება „გულკეთილმა და გულმომობიერმა“ ადამიანებმა ამ მორევიდანაც მშრალად გამოიყვანონ იგი.

რას იზამთ, ხალხნი ვართ, იმედითა ვცოცნლობთ.

მარაშოტი



ნახ. გ. ფირცხალავასი





## წინასიტყვაობა

არ ვუწყ, შევძლებ თუ არა გამოვცე მისი დიდად საინტერესო ცხოვრება ისეთ ფერებში, როგორც იგი მას ჰქონდა, მაგრამ, დიდ დანაშაულს ჩავედინე ხალხისა და ქვეყნის წინაშე — არ მეცადა დავწლი ესე და ერთი დავმტკბარიყავ მისთა საქმეთა ცოდნითა და მისის გონებაშახვილობით...

ჭიანჭველას თვალეები არ ჰქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა წამწამები გამომასხიო. ვითომც ყველაფერად შემკული იყოს ჩვენი წიგნი და წინასიტყვაობადა აკლდეს! მაგრამ დიდად არ გავივრდებოდა ჩვენი დროის მკითხველი — უხვად ექნება ნაკითხი წინასიტყვაობანი. ცოტა რიგადია ავტორი, რომელმაც იცის თავისი წიგნის უბედურება, მაგრამ არაფერს დააკლებს: წინასიტყვაობასაც წაუშვებდარებს და ეპოქის მიმოხილვასაც დაურთავს, ვითომდა ჩვენი წიგნი ეპოქალურიყო. უხვად მოჰყავთ გამოჩენილ ადამიანთა აზრები — შიგა და შიგ სიტყვებს გაშლილი ასოებით დაასტამბინებენ და შენიშვნას გაუკეთებენ — „ხაზი ჩვენიო“. თუ, ვთქვათ, საქმე ილიას ენება და ტექსტში წერია: „იგი მაშინ მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა დუშეთის მაზრაშიო“, — მაშინვე ვარსკვლავს დასვამენ და ქვემოთ აგვიხსნიან: „იგი — ესე იგი, ილიაო“. თითქოს ჩვენ ვერ მივხვდებით სახელის ნაცვალსახელით შეცვლას! ასე მოგაყენებენ შეურაცხყოფას, რითაც ავტორიანაქებენ მთელს ნერვულ სისტემას და, მერე უკვირთ, რისგან ჩნდება ამდენი ავადმყოფობა: ფსიქონერვოზი, მიოკარდია და მისთანანი.

ღმერთმა გაშროს, მკითხველო, წემოთ ჩამოთვლილი. თავს არ შეგაწყენოთ ეპოქის მიმოხილვით, ამას თქვენც კარგად შეძლებთ — ჩვენი დროის შვილები ბრძანდებიან.

## თავი I

### რომელიც მოგვითხრობს ჩინ ჩინურის წარმოშობას, მშობლევად და ნათესავებად, ბავშვობასა და პაროზაზა

როგორც წესი, დიდ ადამიანთა ბიოგრაფიები მშობლებით იწყება! მშობლების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, გარდა თვითონ ჩინურის ერთი განცხადებისა, რომელსაც მისი მკვლევარებიც ეყრდნობიან: „ამის რჯულიც არ იყოს, შვიდი მამა მყავს, ცხრა დედა და მაინც ოლოვი ვარ!“ — უთქვამს გულნატკენს კერძო საუბარში. (ჩინ ჩინურის სიტყვები ყველგან მისი სტილის დაცვით მოგვყავს).

ამრიგად, მშობლებს უკვე გაგაცანიეთ. ახლა შევუდგეთ დაბადების ადგილისა და თარიღის დადგენას. პათივტემულ კერესელისი აზრით, იგბ 2 თბილისში დაბადებულა, 1919 (?) წლის ვარდობისთვის. არაერთხელ უთქვამს ჩიას: „მოსიპოს ჩემი დაბადების დღე და საათიო!“ ამიტომ, ჯერჯერობით, დღე და საათი დაუდგენელია.

როგორც ყოველთვის, დიდ ადამიანთა დაბადებას თან ახლავს რაღაც მოვლენები. ამ დღესაც მემატინეს სამი საკვირველება აღუნიშნავს.

პირველი: სასადილო „მეფისტოში“ გადმოგარდნილა 17 ბოთლი ღვინო ბუფეტის თავიდან თავისთავად და დაღვრილა.

მეორე: ძია ლევანს სამი ღერი უღვასი ჩამოჰყოლია უღვასზე ხელის გადასმის დროს, რაც დიდად საკვირველია, რადგან საულ-ვაშუზე ორი ღერილა ჰქონია შერჩენილი.

აკადემიკოს კიკილაშვილის აზრით, ყოველივე ამას უხილავი კავშირი ჰქონდა ჩინ ჩინურის ცხოვრებასთან.

1. ერთ-ერთი ჩინოლოგი და პურღვინის აკადემიის სწავლული მდივანი.
2. ჩინ ჩინური.
3. ხელ-ფეხ გაუძარველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ჩიას ბიძა.
4. ორგზის დამსახურებული კვარტისტი, პურღვინის აკადემიის ნამდვილი წევრი.

ბავშვობა ჩიას ქვიშხეთში გაუტარებია. ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ:

„მაგონდება სახეები კაცთა და ქალთა, რაღაც ბურუსით გარემოცული, მაგონდება საშინელი ყვირილი, რომელიც თან ახლდა მათს გამოჩენას, რაც, ერთ ხანს, შიშს იწვევდა ჩემში.“

როცა წამოვიწარმე და შევძელი გავრკვეულიყავ, აღმოჩნდა, რომ ესენი იყვნენ: ბიძები, დედები, ბიძაშვილები, დედაშვილები — ცოლებითა და სიძეებით. დღე და ღამე ნარდს თამაშობდნენ და შემოსავლიც აქედან ჰქონდა. ხმაური, რომელიც მანამდე გაუგებარი იყო ჩემთვის, შეძახილები აღმოჩნდა კამათლის მიმართ.

პირველი წინადადება, რომელიც გარკვევით მითქვამს, ყოფილა, „შაში-ბეში, კამათელიო!“ ძია ლევანს ღირსეული მემკვიდრე რომ უგრძენია ჩემში, სიხარულით ჰაერში შევუსვრივარო...

ეს ის ლევანია, რომელიც ზემოთ უკვე გავიცანით. ჩინ ჩინურის სხვა ბიძებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ რევოლუციამდე სამ თვეს იმსახურა სასამართლოში თარჯიმნად, მოხსნილი იქნა უფიცობისათვის, რაც რევოლუციურ დამსახურებად ჩაითვალა და რევოლუციის შემდეგ პენსიის დანიშვნისათვისაც კი იბრძოდა, თუმცა უშედეგოდ.

ერთხელ ლევანი თბილისიდან ხაშურში მიემგზავრებოდა თურმე. ვაგონში გულეხებიც იყვნენ და ღვინოს შეეძებოდნენ თავისთვის. წამოიწყეს სიმღერა: „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი ალვისხის ჩამონათალიო“. თვითონ ჰყვებოდა ლევანი: „მე მიზეზს ვეძებდი, იქნებ როგორმე, შემეპატრონ-თქვა და ავუტყდოდა მოგივიდათ. თქვე კაი ხალხო, მტკვარს ყოველდღე ასი ტივი მაინც მოაქვს და, ხომ ხედავთ, ხმას არ ვიღებ-თქვა. შეცვალეს სიმღერა და ახლა „ნინას ყავდა ერთი შაში“ წამოიწყეს. ამაზე მთლად ავენთე. ხანჯალზეც კი გავისვი ხელი: ჯანყარაშვილია ქვიშხეთში. სამასი სული ცხვარი ყავს და ქე არის პატრონსად, რა გახდა მაგ ერთი შაში-თქვა!!! დასაწყებად ერთი შაში-თქვა!!! დასაწყებად ღვინო შემომთავაზეს.

რაც დროული იყო და „შავლეგ შენი შავი ჩოხის“ უფლება მივეცი...“

სხვაც ბევრი საინტერესო სახლი-კაცი ჰყავდა ჩიას. ისინი, ვინც ნარდის თამაშით არ იყვნენ დაკავებულნი, გააბამდნენ საუბარს ისეთ თემებზე, როგორცაა, მაგალითად: „რომ არ ყოფილიყო გამოგონებული მწვადი, შეძლებდნენ თუ არა მის გამოგონებას ჩვენს დროში?“ ან: „რომელი უფრო მოქმედებს გამბულ სმაში — ვიწროყელიანი სასმისი თუ განიერი?“ და სხვა ასეთები... იგონებს ჩინური, აგრეთვე, თუ როგორ ასწავლიდნენ რუსულს. ერთ-ერთი ბიძა ჩაატარებდა ასეთ გაკვეთილს:

„ამოვიტან ნაჯახს, ზედლაინტ, მოვჭირი თავს ჩიას, ზედლაინტ და, თქვენ არსად თქვათ, ზედლაინტ“. ჩინ იწყებდა ტირილს, ბიძები კი გაკვირვებას გამოთქვამდნენ: ბიჭოს, თურმე ესმის რუსულიო!

ჩიას ეგონა ქართულში თუ შიგ და შიგ „ზედლაინტი“ ჩაფურთე, — ეს იქნება რუსულიო. დღესაც, როცა უკვე მოწიფული ვაკაკაცია, რუსულ საუბარში, რომ შესაფერ სიტყვას ვერ მოიგონებს, „ზედლაინტს“ მოიშველიებს და თან გამბულ სტვენას მიაცოცებს... და წავიდა შემდეგ ჩინურის ბავშვობა ასე მრავალფეროვნად...

## თავი II

### ჩინ ჩინურის მოსწავლეობის პერიოდისა

სასწავლებელში ჩინური ძალიან გამოირჩეოდა არც ერთხელ არ დაგვიანებია, ყველაზე ადრე მოდიოდა კლასში, რასაც სწავლისადმი სიყვარულითა და ბეჯითობით ხსნიდნენ. ოღონდ შემოდგომის კუთხეს, რომელიც მოსწავლეებს მოეწყოთ, თანდათან აკლდებოდა ჩურჩხლა, კომში, ჩირი და მისთანანი. მიხვდნენ რისთვისაც მოდიოდა ასე ალღონზე და აუკრძალეს ზარის დარეკვამდე კლასში შესვლა.

ამის შემდეგ გული აიცრუა, დაგვიანებებსა და გაცდენებსაც მოუხშირა. მაგრამ ბუნებით ნიჭიერი იყო და კლასიდან კლასში მაინც გადადიოდა, საშემოდგომო დავალებებით.

ჩინ მალალ კლასებში უფრო გაუმსაკდა და გაზარმაყდა. ხშირად იბარებდნენ მშობლებს. მიჰყავდა ერთი მოხუცი ბებია, რომელსაც ყურთაც აკლდა და თვალშიც ვერ იხედებოდა კარგად. მასწავლებლები ვერაფერს აგონებდნენ, ბოლოს მის მოხუცებულობას სცემდნენ პატივს და, გინაიდან სიარული უჭირდა, კარებამდე გამოაცილებდნენ. ბუბიას კი სახლში ასეთი ამბები მოჰქონდა:

„მავს ჭირიში! ისეთი სამაგალითო მოწუფე ყოფილა, — მასწავლებლებს სულ მკლავგაყრილი დაყავარო“.

ამ მიზეზით მასწავლებლები მშობლების დაბარებას ერიდებოდნენ: — ისევ ბებია არ მოიყვანოს, და ვაგლახად ხმას ვერ სცემდნენ.

მაგრამ მძიმე დანაშაული ჩაიდინა ერთხელ და ჩინური სკოლიდან გარიცხეს. ბუბიას მოყვანა საქმეს არ შეელოდა, მშობლებს კი ამ ამბავს ვერ უმხელდა და ფიქრში იყო

რა ელონა. დილით, ჩვეულებრივ აღრიანად გამოდიოდა ჩანთით ხელში, რათა შინაურებს არ გაეკოთ მისი სკოლიდან გამოვლდების ამბავი.

ერთ დღეს, ათას ბარგ-ბარხანა გადაკიდებული „სტარი ვეში“ შეხვდა, სახლიდან რომ გამოდიოდა, ჩიას უმაღ ბრწყინვალე აზრმა გაუფლავა. გაიმართა ვაჭრობა მთ შორის. რამდენად იკისრებ ჩემს ბიძობასო, — ჰკითხა ჩიამ. „ბიძა“ ამ საქმეში 50 კაპიკს ითხოვდა. ჩინას სწორედ 50 კაპიკი ჰქონდა, მაგრამ არ უნდოდა საუზმისათვის გამოტანებული ფული მთლიანად მიეტყა. ვაჭრობაშიც ყოჩადი გამოდგა, „ბიძას“ აქცენტი დაუწუნა, წმინდა ქართულით ვერ დაპარაკობო, და 30 კაპიკად მორიგდნენ.

თუ როგორ დამთავრდა ჩიასი და „ბიძამისი“ სკოლაში მისვლა, ამის შესახებ მკვლევარები რატომღაც აღუშინებ. ისე კი არის რაღაც, ჭორივით, ჩინური გაილახაო. მეორენი ამტკიცებენ: პირიქით, „ბიძა“ მოვიდა ზარალში, მისი ტომარა ჩიას შერჩა დავლადო.

სკოლიდან არაერთხელ იყო გარცხული და აღდგენილი. ახლაც აღადგინეს. მაგრამ ასეთი და მრავალი სხვა სახის ინციდენტის გამო საბოლოოდ აიცრუა გული და ეკრეთ წოდებულ „შატალოს“ მოუხშირა.

იმხანად უცნაური რამ შეემთხვა: მთელი სახე ასტივდა და დაუსიგდა. წაიყვანეს ამბულატორიაში, აქ მიზეზად რომელიღაც ლათინური სიტყვა მოიშველიეს და მთლიანად შეხვდეს, მხოლოდ ცალი თვალი დაუტოვეს. ჩიას მთელი თვე ჰქონდა გაცდენილი, იფიქრა ამ შემთხვევას გამოიყენებ, მივალ სკოლაში და მასწავლებლები იტყვიან: ასეთ მდგომარეობაში თუ კლასში მოვიდა, მანამდე, ალბათ, ეშმაკმა იცის როგორ ცუდად იქნებოდაო.

მართლაც ასე მოხდა. როცა პირველ გაკვეთილზე მისი გვარი ამოიკითხეს და ვეზუე წამოგდა, ყველაზე მაშინ ვიცანით, თორემ სხვა მხრივ არ იცნობოდა. მოჰყვა მასწავლებელი მის ქებას, ჩვენს მკუთის სასწავლოდა: ხომ ხედავთ, როგორ მდგომარეობაშია, მაგრამ მეცადინეობაზე მაინც გამოცხადდა, იმდენად მონდომებულია, თქვენ კი ცოტა რამ ჩემზეთი აცდენთ გაკვეთილებსო. ყველა მოსწავლე ჩინურს შენატროდა იმ დილით: „ბედი უნდა ადამიანს, თორემ რატომ მე არ დამისიგდა თავ-ცხაო“, — ვფიქრობოდა. ერთი სიტყვით ჩინ ყველა ჩვენგანის თვალში გმირად იქცა და, თუ ჩვენ არ ვიყავით დასიგებულები, ჩინ ხომ ჩვენი ჯგუფის წევრი იყო, და მთელი კლასი ტრახახად ვიქცით. ყველას მის გვერდით გვიდგოდა დგომა. თითქოს ამით იმის თქმა ვესურდა, რომ ჩვენც მისებრ მოვიქცეოდით, თუ ბედი ოდესმე გავგდინებდა და გავსიგდებოდით. ჩინაც დიდებული შეიფერა ეს მდგომარეობა და არავინ დაგვტოვა გულნაკლული: ზოგს ხელი გადაგვხვია, ზოგს რაღაც ვვანიშნა მეჯურად, ზოგს მისი ჩანთის ტარების უფლება ერგო, ერთს კი იმდენად გაუღვიმა ბედმა, რომ ჩიამ ზურგიც კი მოაფხანია.

ასე ყველას გვარგუნა ცოტა რამ სიხარული, მაგრამ წუთისოფელი სხვას გვიზადავდა.



ახალდაბელები რომ სრულიად ჯანსაღი და ნორმალური ხალხია, ამის მტკიცება ნორმალურ ადამიანს აზრადაც არ მოუვა, მაგრამ საკითხავი მაინც არის და აი რა:

რამდენი ხანია ტელეფონი ავტომატის ჯიხური რომ დადგეს სოფლის საბჭოს შენობის წინ და დგას იგი გასაცოდავებული, ცარიელი, ფარდალალა, არა და არ აღირსეს ტელეფონის აპარატი.

ახალდაბელები ხომ საყვედურობენ და საყვედურობენ, მაგრამ თვითონ სატელეფონო ჯიხურიც ემდურის და წყველის თავის ბედს: რაღა სატელეფონო ჯიხური ვარ, თუ ჩემი დღე და მოსწრება დადუმებული ვიდგები და ტელეფონის წკრიალითა და შეყვარებულთა ჭკუჭკუით ყურთა სმენა არ დამიტკბებათ.

მზრუნველი მესვეურები ჰყავს ხაშურის აბანოს. ბანაობის საქმეც დააყენეს ჩინებულად და კოპწია ქალებსაც საპარიკმახერო გაუსხნეს. გააგზავნი ცოლს აბანოში და იქვე თმას შეიკრუჭავს, ფრჩხილებს შეიღებავს, ტუჩებს შეიფერადებს და, შინ რომ დაგიბრუნდება, გაცივებით შეაცქერდები, უცხო გეგონება და მერე რომ დააკვირდები, და მაინც შენი აღმოჩნდება, სიხარულით მეშვიდე ცას ეწვევი. აბა, რა ჯობია ამას!

ქალები რომ მიიზიდონ, საპარიკმახეროს აბრა გაუკეთეს, მიაწერეს: „თმის დახვევა და მანიკური“. მაგრამ, იცით, სად? დედისერთა ფანჯრის მიწაზე! ზამთარში ფანჯარა ჩაკეტილია და წარწერაც, ცხადია, ჩანს, მაგრამ აი მზიანი გაზაფხული დადგა, ფანჯარა ხომ უნდა გაიხსნას, აბრა ფა-ფუ, იყო და არა იყო რა!

გინდა ყოფილა ასეთი აბრა და გინდა არა, განა სულ ერთი არ არის, აბანოს თავგაცემო და მესვეურებო!

ხაშურის საწარმოო სამმართველოს ავღვეის კოლმეურნეობაში 731 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან გასულ წელს 309 კაცს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

### ჩ ე მ ო ნ ი ა ნ გ ო !

მიმდინარე წლის 4 მარტს № 9 ავტობუსი ჩვეულებრივი სიღინჯით მიდიოდა შაჰესიდან ავჭალის მიმართულებით. ახლახან გაქალაქებულნი ავჭალელები დილაადრიან მივეჩქარებოდით დედაქალაქისაკენ.

ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანას რომ მივეუახლოვდით, ატყდა უეცარი გაი-ვიშის ძახილი. მგზავრებით სავსე ავტობუსმა გზა ვერ აუქცია შემხვედრ მანქანას, სწორედ იქ, სადაც გზა უხვევს და, ხევენი რომ არ გადავარდნილიყო, ტალახიან ორმოში ჩავვა.

ვიდაცამ დაიძახა, — აბა ვისაც ჯერ სიცოცხლე გინდათ, თავს უშველეთ და, მართლაც, როგორც ამბობენ, სული ტკბილი ყოფილა და ჩვენც გადმოფცვივდით მანქანიდან. თუ ავტობუსმა პატივი გვცა და ტალახიან ორმოებამდე მაინც მოგვიყვანა, ახლა ჩვენც ხომ უნდა სამა-

გიერო გადაგვებადა მისთვის? შეგუდექით მგზავრები ავტობუსს აქეთიქიდან და სამშვიდობოს გამოვართიეთ, მეტი რა გზა გვქონდა. ცოტა შევისვენეთ, გული მოვიბრუნეთ და ისევ ავტობუსში დავიკავეთ ჩვენი ადგილები. ახლა იმის იმედი გვაქვს, რომ ნიანგი მაინც მოგვცემს რჩევადარიგებას და გვეტყვის, ამ ფხულშიც შარშანდელივით მოგვიწვეს ფანჯრებდაკეტილ ავტობუსში ჯდომა და გზის გასწვრივ გათხრილი ორმოების შიშით ცქერა? იქნებ ჩვენც დაგვეხმარონ, როგორც ახალბედა ქალაქელებს და პატარა ქვაფენილები მაინც მიუმატონ ავჭალის ვიწრო ქუჩებს, რომ მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს მასზე სიარულის. ჩვენ კი თქვენი იმედით ვცოცხლობთ, ჩვენო ნიანგო.



ნახ. ა. კანდელაკისა

— მთელ ღამეებს ვათენებთ და კოლმეურნეობაში მაინც წარმაცებებ გვეძახიან!

ლია ზაქაძე  
163  
საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა  
26/11

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, მ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჯედიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 14/II-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეჯ. № 562, უფ. 07165 ტირაჟი 40,000

როგორც ჩანს, საფრანგეთის „საქმეს გაცნობილმა წრეებმა“ არ გამოიტანეს დასკვნები იმ გაკვეთილებიდან, რომლებიც გერმანელმა მილიტარისტებმა მოუწყვეს საფრანგეთს. რამდენჯერ ვათელეს მათ საფრანგეთის მიწა, შეურაცხვეს იგი, მოსპეს ფრანგი პატრიოტები. ახლა კი საფრანგეთის მთავრობა უშეშობილდება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ ძალებს.

(ამს. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან ქ. მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1988 წლის 27 თებერვალს).

ИНДЕКС 76137

ქართული  
ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა

უნიკო მონაწილე და ისტორიის გავრცელები.